სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080166767461720

№ 599

18 / თებერვალი / 2020 წ.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 14 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ SMP200000556 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა 2 დღით ექსკავატორის დაქირავების მომსახურების (CPV- 45500000 - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება; 45520000 - მიწის სათხრელი მოწყობილობებისა და მათი ოპერატორების დაქირავება) შესყიდვა. განხორციელებული შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა 2000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქალაქ თელავში ხანგრძლივი უნალექობიდან გამომდინარე, შემცირებული იყო ქალაქ თელავის სათავე ნაგებობებზე მოპოვებული წყლის რაოდენობა, რის გამოც მოსახლეობა განიცდიდა სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ მდ. თურდოს ხეობაში მოძიებულ იქნა ადგილი, სადაც აღმოჩნდა ბუნებრივი წყლის მნიშვნელოვანი მარაგი. მოპოვებული წყლის საერთო მარაგის გასაზრდელად საჭირო იყო ჰორიზონტალური სადრენაჟო სისტემის მოწყობა - არსებულ დ-630მმ წყალმომარაგების მაგისტრალზე დაერთებით, რისთვისაც მოსაწყობი იყო დ-355მმ პოლიეთილენის L-100 გრძ.მ. სადრენაჟე პერფორირებული მილი და დ-315მმ პოლიეთილენის L-322 გრძ.მ. მაგისტრალული მილსადენი. აღნიშნული სამუშაოს განხორციელებისათვის შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და შპს „ევრო მონოლითს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N01-3102 (31.01.2020), მაღალი გამავლობის ექსკავატორის (მუხლუხა) 5 დღით დაქირავების მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე (SMP200000410). აღსანიშნავია, რომ მიწის სამუშაოებში გამოვლენილი არსებული სირთულეებიდან (მუშა პროცესში ქვაბულში სველი გრუნტის გვერდების ჩამოშლა, რაც იწვევდა გრუნტის დასამუშავებელი მოცულობისა და შესაბამისად- ექსკავატორის მუშა საათების გაზრდას) გამომდინარე, საჭირო გახდა აღნიშნული მომსახურების შესყიდვა დამატებით 2 დღით.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია მიწის სამუშაოებში გამოვლენილმა არსებულმა სირთულეებმა, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშნელოვან ზიანს აყენებდა, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ასევე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში ქალაქი დარჩებოდა სასმელი წყლის გარეშე. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულმა ვითარებამ, აიძულა შემსყიდველი ორგანიზაცია გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია მიწის სამუშაოებში გამოვლენილმა არსებულმა სირთულეებმა, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშნელოვან ზიანს აყენებდა, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ასევე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში ქალაქი დარჩებოდა სასმელი წყლის გარეშე. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულმა ვითარებამ, აიძულა შემსყიდველი ორგანიზაცია გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის დაყოვნება, დიდი ალბათობით, გამოიწვევდა არსებული მდგომარეობის გაუარესებას, კერძოდ, ქალაქი დარჩებოდა სასმელი წყლის გარეშე.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1.მართლზომიერად იქნეს ცნობილი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განხორციელებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე